

ანგარიშის გადაფასება


სავალუტო ოპერაციების შესრულების შემდეგ აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით (ყოველდღე, თვეში ერთხელ, კვარტალში ერთხელ ...) გადაფასდეს ანგარიშზე არსებული სავალუტო ნაშთი, რადგან კურსის ცვლილებიდან გამომდინარე სწორად იქნას დაანგარიშებული ვალუტაში არსებული ნაშთის შესაბამისი ექვივალენტი. სისტემაში არსებობს გადაფასების ოპერაციების სხვადასხვა მეთოდები.

1. ანგარიშების გადაფასება ერთი კონკრეტული თარიღით (ორივე სააღრიცხვო ვალუტის ექვივალენტის მიმართ)


2. ერთი ანგარიშის გადაფასება კურსის ცვლილების თარიღებში. (ორივე სააღრიცხვო ვალუტის ექვივალენტის მიმართ)

ექვივალენტების დაანგარიშებისა და გატარებების შესრულების პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირველ შემთხვევაში გადაფასდება ანგარიშები ერთ თარიღში, ხოლო მეორე მეთოდით გადაფასების გატარებები შესრულდება ერთი კონკრეტული ანგარიშისთვის ყველა იმ თარიღში, როდესაც სისტემა აღმოაჩენს რომ კურსი შეიცვალა.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი პირველი მეთოდის მიხედვით. თავდაპირველად გახსენით 1220-ის ქვეშ სადოლარო ანგარიში- 1220 1. ამ ანგარიშზე დავსვათ სასტარტო ნაშთი დოლარში. (სასტარტო ნაშთების დასმამდე ბაზაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ვალუტის კურსები) გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/პარამეტრები/სასტარტო ნაშთები/სასტარტო ნაშთები ანგარიშთა გეგმის მიხედვით“. იმისათვის რომ დოლარში დავსვათ სასტარტო ნაშთი, ეკრანის ზედა ნაწილში დააჭირეთ ღილაკს .




გამოსულ ეკრანში გადადით ბარათში „ვალუტა“. იხილავთ ვალუტების ჩამონათვალს. მონიშნეთ ამერიკული დოლარი. ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში მონიშნეთ მოსანიშნი „ვაჩვენოთ ექვივალენტი“, რათა ეკრანზე დავინახოთ ვალუტაში დასმული ნაშთის შესაბამისი ექვივალენტი. საბოლოოს ეკრანს ექნება შემდეგი სახე:




დააჭირეთ ღილაკს „OK“. 1210 1 ანგარიშის გასწვრივ ველში „საწყისი სადებეტო ნაშთი“ მიუთითეთ მაგალითად 1000. დაინახავთ, რომ ექვივალენტური თანხა სისტემაში ავტომატურად დაითვალა სასტარტო ნაშთის თარიღში არსებული დოლარის კურსის მიხედვით. 1USD = 3.2766 GEL


ანგარიში	დასახელება	საწყისი დებეტი ნაშთი	საწყისი კრედიტი ნაშთი	კურსი ფიქსირებულ	საწყისი დებეტი ექვივალენტი	საწყისი კრედიტი ექვივალენტი
- 1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში			<input type="checkbox"/>		
- 1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1000.00		<input type="checkbox"/>	3276.6000	
- 1220 1	GE11BG1111111122222222USD	1000.00		<input type="checkbox"/>	3276.6000	
- 1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში			<input type="checkbox"/>		
- 1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე			<input type="checkbox"/>		
- 1300	მოკლევადიანი ინვესტიციები			<input type="checkbox"/>		
- 1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოს ფასიან ქაღალდ...			<input type="checkbox"/>		


მაგალითად გადავფასოთ ამ ანგარიშზე არსებული ნაშთი იანვრის ბოლო თარიღისთვის. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები“ და მარჯვენა მხარეს აირჩიეთ „ბალანსის შედგენისთვის საჭირო მაკროსები/ნაშთების გადაფასება/ნაშთების გადაფასება“



იხილავთ ეკრანს




მიუთითეთ ოპერაციის თარიღი 31.01.2021. ველი „შემოსავლის ანგარიში“ ავტომატურად არის შევსებული, თუმცა შეცვლა შესაძლებელია. აღნიშნულ ველში ანგარიშის ნომრის შეტანის დროს იხილავთ ყველა იმ ანგარიშის ჩამონათვალს, რომელთა ნომრებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი ციფრებით. ან ველის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი ანგარიში. ამის მსგავსად შეგიძლიათ შეცვალოთ „ხარჯის ანგარიში“. ეკრანის ქვედა ნაწილში „მონიშნეთ გადასაფასებელი ანგარიშები“ მოცემულია ანგარიშთა გეგმა, სადაც უნდა მონიშნოთ ის ანგარიშები, რომლის გადაფასებასაც აპირებთ. ჩვენს შემთხვევაში მონიშნეთ 1220 1 ანგარიში, მის წინ არსებულ მოსანიშნზე მაუსის დაჭერით და ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „OK“. სისტემა შეასრულებს ანგარიშის გადაფასების ოპერაციას. მაკრო ოპერაციების ქვედა ეკრანში შეგიძლიათ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია.



პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022]

გა.	დ.	აქვ. გაც.	ოპერაციის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის ტიპი	თანხა	ვალუტა	კომენტარი
		<input checked="" type="checkbox"/>	15.11.2021 0...		ძირითადი საშუალებების გა...	200.00	GEL	ძირითადი საშუალებების გადაფასება
		<input checked="" type="checkbox"/>	16.11.2021 2...	2	ძირითადი საშუალებების დ...	10,369.49	GEL	ძირითადი საშუალებების დაშლა
		<input checked="" type="checkbox"/>	16.11.2021 2...		ძირითადი საშუალებების გა...	2,550.00	GEL	ძირითადი საშუალებების გაერთიანე...
		<input checked="" type="checkbox"/>	31.01.2021 2...		წაშლის გადაფასება		USD	

აღნიშნულ ოპერაციაზე მასის ორჯერ დაჭერით იხილავთ ოპერაციის შესაბამის საბუღალტრო გატარებებს.



ოპერაციის 31.01.2021 23:59:59

დოკუმენტის: [] ოპერაციის: წაშლის გადაფასება

კომენტარი: []

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	კურსი ფიქსირე	კურსი	დებეტი ექვივალენტი	კრედიტი ექვივალენტი
1	8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			USD	<input checked="" type="checkbox"/>			26.00
2	1220 1	GE11BG1111111122222222USD			USD	<input checked="" type="checkbox"/>		26.00	26.00

შევიწახოთ უარი

ყურადღება მიაქციეთ, რომ წაშლის გადაფასების ოპერაციის შესაბამისი გატარებები სრულდება არა ნომინალში, არამედ მის ექვივალენტში, რადგან სწორედ ექვივალენტური

თანხების ცვლილება უნდა მოხდეს ოპერაციის შესრულების თარიღში არსებული კურსის მიხედვით. ვნახოთ 31.01.2021-თვის როგორი იყო დოლარის კურსი.

თარიღი	ვალუტა	ვალუტის დასახელება	რაოდენობა	კურსი	რაოდენობა2	კურსი2
29.01.2021	EUR	ევრო	1	3.9973	1	
30.01.2021	GEL	ქართული ლარი	1	1.0000	1	
30.01.2021	USD	ამერიკული დოლარი	1	3.3026	1	
30.01.2021	EUR	ევრო	1	4.0037	1	
31.01.2021	GEL	ქართული ლარი	1	1.0000	1	
31.01.2021	USD	ამერიკული დოლარი	1	3.3026	1	

გადასაფასებელი თანხის დაანგარიშების პრინციპი შემდეგნაირია.

1. სისტემა ნახულობს გადაფასების ოპერაციის თარიღში ანგარიშზე არსებული სადოლარე (შეიძლება იყოს სხვა ვალუტაც) ნაშთის შესაბამის ექვივალენტს.

2. ნახულობს გადაფასების ოპერაციის თარიღში ვალუტის კურსს, რათა მოხდეს ექვივალენტური თანხის დაანგარიშება

3. ავტომატურად ითვლის გადაფასების ოპერაციის თარიღში არსებულ ექვივალენტსა და ამავე თარიღში არსებული კურსით მიღებულ ექვივალენტს შორის სხვაობას და ასრულებს საბუღალტრო გატარებას.

ჩვენი მაგალითის შემთხვევაში 31.01.2021-ში 1220 1 ანგარიშის (1000\$) ექვივალენტური თანხა შეადგენდა 3276,6-ს. ამავე თარიღში რადგან კურსი გაიზარდა, არსებული კურსის მიხედვით (1USD = 3.3026 GEL) ანგარიშზე არსებული ექვივალენტური თანხა უნდა იყოს 3302.6 (1000\$ * 3.3026). აქედან გამომდინარე 3302.6-სა და 3276,6- შორის სხვაობით სისტემამ შეასრულა გადაფასების ოპერაცია და 1210 1 ანგარიშის სადებეტო თანხა გაზარდა 26-ით. ასევე ცვლილება ასახა შემოსავალში.

ეხლა განვიხილოთ ერთი ანგარიშის გადაფასება კურსის ცვლილების თარიღებში. ამისათვის მაკრო ოპერაციების ბედა ეკრანში გამოიძახეთ მენიუ „ბალანსის შედგენისთვის საჭირო მაკროსები/ნაშთების გადაფასება/ნაშთების გადაფასება/ერთი ანგარიშის ნაშთების გადაფასება კურსის ცვლილების მიხედვით“. იხილავთ ეკრანს

მაკროსი (ერთი ანგარიშის ნაშთების გადაფასება კურსით...)

აირჩიეთ დიაპაზონი და ვალუტა

პერიოდი [01.02.2021 - 01.03.2021] USD

გადასაფასებელი ანგარიში

1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

შემოსავლის ანგარიში

8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ხარჯის ანგარიში

8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

OK შეწყვიტოთ

ველზე “აირჩიეთ დიაპაზონი და ვალუტა“ დაჭერით გამოტანილ ეკრანში დიაპაზონში მიუთითეთ მაგალითად თებერვალი, აირჩიეთ ვალუტა -ამერიკული დოლარი და დააჭირეთ ღილაკს „OK“. ველში „გადასაფასებელი ანგარიში“ აირჩიეთ ის ანგარიში, რომლის გადაფასებაც გსურთ. ჩვენს შემთხვევაში 1220 1. შეგიძლიათ შეცვალოთ შემოსავლისა და ხარჯის ანგარიშები და დააჭირეთ ღილაკს OK“.

მაკრო ოპერაციები

გატარებებში სიდიდეების გადათვლა

- ნაშთების გადაფასება
 - ნაშთების გადაფასება
 - ერთი ანგარიშის ნაშთების გადაფასება კურსის ცვლილების მიხედვით**
 - ნაშთების გადაფასება (მე-2 ექვივალენტი)

პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022]

გა	დ	აქვ	ოპერაციის	დოკუმენტის	ოპერაციის ტიპი	თანხა	ვალუტა	კომენტარი
		გაწ	თარიღი	ნომერი				
		<input checked="" type="checkbox"/>	16.11.2021 2...		მორითადი საშუალებების გა...	2,550.00	GEL	მორითადი საშუალებების გაერთიანება
		<input checked="" type="checkbox"/>	02.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	03.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	04.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	05.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	06.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	09.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	10.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	11.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	12.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	13.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	16.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	17.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	18.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	19.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	
		<input checked="" type="checkbox"/>	20.02.2021 2...		ნაშთის გადაფასება		USD	

როგორც ხედავთ სისტემამ შეასრულა ანგარიშის გადაფასების ოპერაცია თებერვლის თვის ყველა იმ თარიღში, როდესაც მოხდა კურსის ცვლილება. ოპერაციის შესაბამისი გატარებების ნახვა შეგიძლიათ მასზე მუსის ორჯერ დაჭერით.